

DRIFT SERIES 2024

საქართველოს დრიფტის სერიები | წესები

1. შეჯიბრი

1.1. ზოგადი წესები

დრიფტი არის ავტომობილის მართვის ტექნიკა, რომლის დროსაც მძღოლი მოაცურებს (მოჭიდებას დააკარგვინებს) უკანა საბურავებს და საჭის კონტრ (საწინააღმდეგო მხარეს) მოხვევით მართავს ავტომობილს სარბოლო ტრასაზე. შეჯიბრზე (კვალიფიკაციაზე, ვარჯიშზე) სარბოლო ტრაექტორია განსაზღვრულია წინასწარ ტრასაზე არსებული მონიშვნებით და ზონებით რომლებიც შეიძლება იყოს განთავსებული შიდა ან გარე ტრაექტორიაზე.

შეჯიბრი შეიძლება ტარდებოდეს ერთი ან რამოდენიმე დღის განმავლობაში, კონკრეტული შეჯიბრის დებულების მიხედვით.

ჩემპიონატი შედგება წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის შეჯიბრებისგან, რომლებშიც მრბოლელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ოლიმპიური სისტემით, რაც გულისხმობს დამარცხებულის გამოთიშვას ასპარეზობიდან.


შეჯიბრში მონაწილე თითოეული პირი თავდაპირველად გადის 2 (ორ) ინდივიდუალურ საკვალიფიკაციო გარბენს რომელიც განსაზღვრავს მის პოზიციას წყვილების ბადეში. კონკრეტული შეჯიბრის დებულების მიხედვით საკვალიფიკაციო გარბენის შედეგების მიხედვით წყვილების რბოლაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საუკეთესო 16-ს ან 32-ს.

საკვალიფიკაციო გარბენები ჟიურის მიერ ფასდება წინასწარ მოცემული დავალების შესრულების შესაბამისად.

წყვილებში გარბენები ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რის შედეგადაც გამარჯვებული გადადის შემდეგ ეტაპზე. ქულები და სატურნირო პოზიცია განისაზღვრება შეჯიბრის საბოლოო შედეგების საფუძველზე, ხოლო ჩემპიონის გამოვლენა ხდება სეზონის განმავლობაში ჯამურად დაგროვილი ქულებით.

1.2. სასტარტო პროცედურა

სასტარტო ხაზი განლაგებულია ტრასის დასაწყისში და წარმოადგენს თითოეული საკვალიფიკაციო თუ წყვილებში გარბენის ოფიციალურ სასტარტო ადგილს. როგორც საკვალიფიკაციო, ისე წყვილში გარბენის დროს, შესაძლოა, სასტარტო მონაკვეთზე განთავსებული იყოს სიჩქარის შემზღვეველი ბარიერები, მაგალითად განლაგებული იყოს „S“ (ესი), რომლის მიზანია, აიძულოს ლიდერი დრიფტერი, სტარტის დატოვების შემდეგ მომენტალურად აიღოს ფეხი გაზის პედალიდან. ხელოვნური შენელების დანიშნულებათა, შეანელოს ლიდერი ავტომობილი და მისცეს საშუალება მდევარს, შეინარჩუნოს საჭირო სიახლოვე დრიფტის დაწყების მომენტისთვის. „S“ (ესი) უმეტეს შემთხვევაში დალაგებულია კონუსებით. წყვილში დრიფტის დროს თუ წინ მიმავალი ავტომობილი შეეხება ერთ ან მეტ კონუსს - ორთაბრძოლა შეჩერდება და მოხდება რესტარტი. მონაწილეები რბოლის შეჩერების შესახებ ინფორმაციას მიიღებენ ფლაგ მარშალის, ან წითელი შუქნიშნის მეშვეობით. ფლაგ მარშალის და შუქნიშნის ზუსტი განლაგება განიხილება შეჯიბრამდე - მონაწილეთა ბრიფინგის დროს.



წყვილში დრიფტის დროს, თუ პირველი სტარტის ან განმეორებითი სტარტის (რესტარტის) დროს, წინ მიმავალი ავტომობილი შეეხება და გადაწევს, ან წააქცევს ერთ ან მეტ კონუსს, დანიშნება რესტარტი, მაგრამ თუ წინ მიმავალი ავტომობილი მესამედაც შეეხება ერთ ან მეტ კონუსს - ავტომობილის მძღოლს ავტომატურად მიენიჭება არჩათვლა. ჟიურის ან რბოლის ხელმძღვანელობას შეუძლია შეცვალოს რესტარტის დანიშნვის კრიტერიუმები რის შესახებაც მრბოლელებს უნდა ეცნობოთ ბრიფინგზე. ყველა სხვა შემთხვევაში მოქმედებს ზემოთ მოცემული წესი.

1.3. დრიფტის დაწყება

როგორც საკვალიფიკაციო ისე წყვილებში გარბენის დროს მონაწილე ვალდებულია ავტომობილი ჩააყენოს დრიფტში სარბოლო ტრასის კიდეზე განთავსებული კონუსების ზონაში. კონუსები განთავსებულია შემდეგნაირად:

3 კონუსი, 2 კონუსი, 1 კონუსი.

დეტალური ინფორმაცია დრიფტის დაწყების შესახებ მოცემულია 1.14 პუნქტში.



1.4. კვალიფიკაციის ფორმატი

მძღოლები გაივლიან ორ საკვალიფიკაციო გარბენს (არა მიყოლებით) ჩემპიონატში დაგროვილი ქულების რევერსული თანმიმდევრობით. ჩემპიონატის პირველი ეტაპის და ახალი მონაწილეების შემთხვევაში - რეგისტრაციის რევერსული თანმიმდევრობით. კვალიფიკაციაზე და რბოლაზე აუცილებელია ერთი და იგივე ავტომობილით გამოსვლა (გარდა 1.18 პუნქტის გარეშის).

1.5. საკვალიფიკაციო ქულები

- ხაზი / ტრაექტორია - 40 ქულა
- კუთხე - 30 ქულა
- სტილი - 30 ქულა (იყოფა კრიტერიუმებად)
 - სტაბილურობა – 15 ქულა
 - აგრესიულობა / თავდადება – 15 ქულა

1.6. საკვალიფიკაციო შეფასება

მრბოლელებმა დრიფტი უნდა დაიწყონ დიდი კუთხით და მაქსიმალური სიზუსტით, დრიფტში მაღალი კუთხით გაიარონ ყველა გარე თუ შიდა ზონა და მაქსიმალურად ახლოს მივიდნენ ყველა შესაძლო წერტილთან. მონაწილეები ვალდებული არიან სწრაფად და აგრესიულად გადავიდნენ ერთი კუთხიდან მეორეზე ისე, რომ არ ჰქონდეთ კორექცია და შეცდომები.

საკვალიფიკაციო გარბენი შეფასდება ფინიშის ხაზის გადაკვეთისას თუკი მრბოლელი სრულ ტრასას გაივლის კონტროლირებადი დრიფტით. ქულები დააკლდებათ იმ მონაწილეებს, რომლებიც ვერ მიწვდებიან გარე თუ შიდა ზონებს, ან ზემოხსენებულს განახორციელებენ დაბალი კუთხით, ან შეცდომებითა და კორექციებით.

ხაზი / ტრაექტორია (40 ქულა)

ტრაექტორია ფასდება თუ როგორ გაივლის მრბოლელი ჟიურის მიერ მოცემულ დავალებას, რაც გულისხმობს არსებულ ტრასაზე იმ ხაზის შენარჩუნებას რომელსაც ქმნის სპეციალური ზონები. ტრაექტორიის ქულები შესაძლებელია იყოს დაყოფილი სექტორების მიხედვით.


კუთხე (30 ქულა)

ფასდება მრბოლელის შესაძლებლობა ჩადგეს და შეინარჩუნოს შეტევის მაღალი კუთხე, ჟიურის მიერ წარმოდგენილი განმარტებების შესაბამისად. ჟიურიმ შესაძლოა განსაზღვროს ტრასაზე არსებული სხვადასხვა ადგილები, რომელთა გავლის დროსაც არ არის სავალდებულო მაღალი კუთხის დაჭერა.

სტილი (30 ქულა)

მსაჯები აფასებენ სტილს შემდეგი კრიტერიუმებით:

- სტაბილურობა (15 ქულა)
 - ერთი კუთხიდან მეორეზე ზუსტი გადასვლა
 - უკიდურესი კუთხეები - მაღალი კუთხის დრიფტიდან მაღალი კუთხის დრიფტზე გადაწყობა
 - მოცემული დავალების სტაბილური გავლა
- აგრესიულობა / თავდადება (15 ქულა)
 - ადრე მოწყვეტა
 - თანაბრად და ბოლომდე გაზის გახსნა
 - გზის სიგანის მაქსიმალურად გამოყენება
 - ბარიერებთან, ტრასის ნაპირებთან და სხვა სახის ინსტალაციებთან დამაჯერებლად მიახლოება



ბაჩა ზონის კუთხე

საბაჟი 1	10	10
საბაჟი 2	5	5
საბაჟი 3	5	5
საბაჟი 4	5	5
საბაჟი 5	5	5
	30	30

საბაჟი

საბაჟი	20
აბაჟი	20
	40

— არქაივის ზონა
— საბაჟის ზონა

საბაჟი 100 ჯეკა

ქულების ჩამოკლების მაგალითები

- კორექტირება დრიფტის დაწყებამდე.
- ტრასის გარეთ საბურავის გადასვლა.
- 2 საბურავით ტრასის გარეთ გადასვლისას ქულები ნახევრდება.
- ზონების და ქლიფინების გამოტოვება.
- ტრექტორიდან გადასვლა.
- მცირე კუთხე.

დავალების არშესრულების მაგალითები

- დატრიალება.
- ოპოზიტური დრიფტი - ტრასის კონკრეტულ მონაკვეთში დადგენილი კუთხის საპირისპირო კუთხით დრიფტი.
- დრიფტის დროს თვლების გასწორება.
- კაპოტის, საბარგულის ან კარის გახსნა გარბენის დროს.
- 3 ან 4 საბურავით ტრასის გარეთ გადასვლა.
- სტარტზე, ლიდერის „წ“ კონუსებზე 3-ჯერ შეხება.

1.7. თაი ბრეიჯი კვალიფიკაციის დროს

კვალიფიკაციისას თანაბარი შეფასების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მეორე გარბენში მიღებულ ქულას. თუ მეორე გარბენის ქულები თანაბარია, მაშინ პირველი გარბენის ქულას. თუ ორივე ქულა ერთნაირია, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ მონაწილეს რომელმაც პირველი გაიარა რეგისტრაცია.

იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიკაციის დასრულება ვერ მოხერხდა, მაგალითად წვიმის, ან სხვა გარემოებების გამო - კვალიფიკაციის შედეგები განისაზღვრება წინა ეტაპის კვალიფიკაციის შესაბამისად.

წვიმის, ან ამინდთან დაკავშირებული ისეთი გარემოებების გამო, რომლებმაც არ გამოიწვია ღონისძიების გაუქმება, ჟიურის აქვს მსაჯობის კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანის უფლება და ამ ცვლილებების შესახებ მრბოლელების და სპოტერების ინფორმირება.

1.8. კვალიფიკაციის ვიდეო ჩანაწერი

ჟიურიმ შეიძლება მოითხოვოს დამატებითი ვიდეო ჩანაწერების ჩვენება კვალიფიკაციის დროს, თუმცა გამეორებისთვის გამოიყენება მხოლოდ ოფიციალური გადაღების ვიდეომასალა.

1.9. წყვილში დრიფტის ფორმატი

კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით, საუკეთესო მრბოლელები (8, 16 ან 32) განლაგდება წყვილების რბოლების ბადეში. წყვილში დრიფტის პრინციპის მიხედვით თითოეული დაპირისპირება შედგება ორი გარბენისგან და გამარჯვებული გადადის შემდეგ წრეში. (სქემა მოცემულია ბოლო გვერდზე)

პირველი გარბენის დროს კვალიფიკაციით უფრო მაღალი ქულის მქონე მონაწილე დგება წინ.

თუ რომელიმე მონაწილის ავტომობილი დაზიანდა, ან ვერ მივიდა სასტარტო ხაზთან, მეორე მრბოლელი შემდეგ წრეში გადასასვლელად ვალდებულია გაიაროს „bye run“. განვლილი წრე არ იღებს შეფასებას, ის განკუთვნილია მხოლოდ მონაწილის ავტომობილის გამართულობის დასადასტურებლად.

შეჯიბრის მიმდინარეობისას, უკანა საბურავის შეცვლა ან წნევის რეგულაცია არ დაიშვება I და II გარბენს შორის არსებული ტაიმაუტის დროს. საბურავებმა თითოეული წყვილის რბოლის დროს უნდა გაიაროს მინიმუმ ორი გარბენი ზედიზედ.

1.10. წყვილში დრიფტის შეფასების კრიტერიუმები

ჟიური ანიჭებს გამარჯვებას იმ მრბოლელს რომელიც, საერთო ჯამში უკეთესად ასრულებს დრიფტს წყვილში გარბენის დროს, როგორც ლიდერის ასევე მდევარის პოზიციაში. მრბოლელების ერთმანეთთან შედარება ხდება როგორც ლიდერი ლიდერთან, ასევე მდევარი მდევართან სისტემით. თუ ჟიური ორი გარბენის შედეგად ვერ გამოავლენს აშკარა გამარჯვებულს, დაინიშნება დამატებითი გარბენი (OMT – One More Time). OMT-ს შემთხვევაში ჟიური აფასებს ორივე - პირველ და მეორე გარბენს. ჟიური

ერთმანეთს შეადარებს როგორც ლიდერის, ისე მდევარის პოზიციაში მყოფი მონაწილეების გარბენებს და განსაზღვრავს, თუ რომელი მრბოლელი იყო უკეთესი ორივე გარბენის დასრულების შემდეგ.

ლიდერის ამოცანები:

- შეასრულოს 100 ქულიანი საკვალიფიკაციო დავალება
- შეასრულოს გაყოლადი გარბენი
- გაყვეს აჩქარება / შენელების რუქას

გაყოლადი გარბენი გულისხმობს ზონების გავლას, ქლიფინგების აღებას, თანმიმდევრული სიჩქარის შენარჩუნებას და შესაბამის ადგილებში დამუხრუჭება / შენელებას ისე, რომ მდევარს ჰქონდეს ლიდერის გარბენის გამეორების და ახლოს მიყოლის შესაძლებლობა.

არაგაყოლადი გარბენი გულისხმობს სხვადასხვა შეცდომებს და ქულების ჩამოსაკლებ გარემოებებს, რომლებიც ურთულესს მდევარს ლიდერის დრიფტში გაყოლას, ან მისი გარბენის გამეორებას.

მდევარის ამოცანები:

- დაიწყოს დრიფტი ლიდერთან ერთად (არაუგვიანეს ლიდერის მიერ დრიფტის დაწყებისა).
- შეინარჩუნოს მაქსიმალური სიახლოვე ლიდერთან, რაც შეიძლება მეტი ხნით.
- გაიმეოროს ან გააუმჯობესოს ლიდერის დრიფტის კუთხე.
- გაიმეოროს ლიდერის გადასვლები და ტრასის გავლის ტრაექტორია.

მდევარის ამოცანაა, გაიაროს სარბოლო მონაკვეთი ლიდერთან მაქსიმალურად ახლოს და ამავდროულად გაიმეოროს ლიდერის კუთხე, ტრაექტორია, გადაწყობები და სტილი. მდევარმა დრიფტი არ უნდა დაიწყოს ლიდერზე გვიან, არ უნდა ჰქონდეს კორექციები, შეცდომები და უნდა შეინარჩუნოს დრიფტი ფინიშის ხაზის გადაკვეთამდე, რათა მოხადინოს ლიდერთან მიმართებაში საკუთარი შესაძლებლობის დემონსტრირება. გარბენი შეფასდება მას შემდეგ, რაც მრბოლელი დაასრულებს კონტროლირებად დრიფტს ფინიშის ხაზის გადაკვეთით. მდევარი, რომელიც არ დაიჭერს და არ შეინარჩუნებს სიახლოვეს ლიდერთან, შეფასების დროს შესაძლოა იყოს არახელსაყრელ მდგომარეობაში (ლიდერს მიენიჭოს უპირატესობა შეფასების პროცესში).

აჩქარება / შენელების რუქა

აჩქარება / შენელების რუქა წარმოადგენს სარბოლო მონაკვეთის გრაფიკულ გამოსახულებას იმ ადგილების მონიშვნით, სადაც ჟიურის სურს იხილოს, ლიდერი ავტომობილი გახსნილი გაზით ან შენელება / დამუხრუჭების მდგომარეობაში. ლიდერი, რომელიც არ მიჰყვება სარბოლო მონაკვეთის გრაფიკულ გამოსახულებას - შეფასებისას ჩამოაკლდება ქულები. აჩქარება / შენელების რუქა ასევე გამოიყენება შეჯახებისას, დამნაშავეს გამოვლენის დროს.

1.11. დაუსრულებელი წყვილთა გარბენი

თუ მრბოლელი დაუშვებს რომელიმე ქვევით ჩამოთვლილ შეცდომას წყვილში დრიფტის დროს, იგი არ მიიღებს შეფასებას აღნიშნული გარბენისთვის და შესაბამისად, გარბენი ჩაითვრება დაუსრულებლად.

დაუსრულებელ გარბენად წყვილებში ჩაითვლება შემდეგი:

- დატრიალება
- დრიფტის შეწყვეტა
- ოპოზიტიური დრიფტი - ტრასის კონკრეტულ მონაკვეთში დადგენილი კუთხის საპირისპირო კუთხით დრიფტი.
- კაპოტის, საბარგულის ან კარის გახსნა გარბენის დროს.
- თავიდან აცილებადი ან არასპორტული შეჯახება მეორე ავტომობილთან.
- მდევარის მიერ ლიდერის შეგნებულად არ მიყოლა მას შემდეგ, რაც არჩათვლა დაფიქსირდა პირველი გარბენის დროს.
- ესში (S) განლაგებულ კონუსებთან შეხების, ან ტრასაზე მსაჯის მიერ დაფიქსირებული დარღვევის გამო, ზედიზედ სამი რესტარტი.
- არანებადართული გასწრება - გამოიწვევს არ ჩათვლას მდევარისთვის.
- ლიდერის გადასწრება დაშვებული წესით - გამოიწვევს არ ჩათვლას ლიდერისთვის.
- სიახლოვის ზონა არის მსაჯების მიერ დადგენილი ტრასის ის მონაკვეთი, სადაც ორივე ავტომობილი ერთდროულად უნდა იმყოფებოდეს დრიფტის დაწყების, ან დრიფტის მიმდინარეობის დროს. თუ მდევარი ავტომობილის წინა ბამპერიც კი არ არის სიახლოვის ზონაში, ჟიური მდევარს შეუფარდებს არჩათვლას. სარბოლო ტრასაზე შესაძლებელია ერთზე მეტი სიახლოვის ზონის განსაზღვრა.

1.12. გასწრება

წყვილში დრიფტის დროს გასწრება ნებადართულია. გასწრება არ არის აუცილებელი, თუმცა მდევარს აქვს გასწრების უფლება, თუ დაცულია ყველა შემდეგი პირობა:

- ლიდერი გასული უნდა იყოს ტრაექტორიიდან ან გადასული ტრასიდან.
- მდევარს გასწრების უფლება აქვს მხოლოდ ცხვირის ქლიფინგზე.
- მდევარს აქვს გასწრების უფლება მხოლოდ შიდა ტრაექტორიით.
- გასწრების სრულად დასრულების შემდეგ - მდევარი ხდება ლიდერი.

გასწრების წესებით დასრულების შემდეგ, მდევარი ხდება გარბენის ლიდერი და უნდა შეასრულოს ჟიურის დავალება. გარბენის დასრულებისთანავე ავტომობილს, რომელსაც გაასწრეს, შეუფარდება არჩათვლა.

1.13. წყვილში დრიფტის მსაჯობის მაგალითები

ქვევით მოცემული სიტუაციები წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ აფასებს თითოეულ წყვილში დრიფტს ჟიური და როგორ ითვალისწინებს თითოეული მძღოლის ქმედებებს, გამარჯვებულის გამოსავლენად.

მაგალითი პირველი გარბენის შემდეგ - ჟიურის წევრის ჩანიშვნები:

მრბოლელის სახელი	გარბენი 1	გარბენი 2
მრბოლელი A	ლიდერი: გაიარა ყველა ზონა, კარგი კუთხე, გამოტოვა მეორე ქლიფინგი.	
მრბოლელი B	მდევარი: საშუალო სიახლოვე, მეტნაკლებად გაიარა ზონა 1, კარგად გაიარა ზონა 2	

მაგალითი პირველი და მეორე გარბენის შემდეგ - ჟიურის წევრის ჩანიშვნები:

მრბოლელის სახელი	გარბენი 1	გარბენი 2
მრბოლელი A	ლიდერი: გაიარა ყველა ზონა, კარგი კუთხე, გამოტოვა მეორე ქლიფინგი.	მდევარი: იდეალური სიახლოვე, აგრესიული.
მრბოლელი B	მდევარი: საშუალო სიახლოვე, მეტნაკლებად გაიარა ზონა 1, კარგად გაიარა ზონა 2	ლიდერი: გამოტოვა ზონა 1, ზონა 2-ში გადავიდა 1 საბურავით, კარგად აიღო მე-2 ქლიფინგი.

გადაწყვეტილების მიღების მაგალითი - დასრულებული გარბენების შემდეგ

მრბოლელის სახელი	გარბენი 1	გარბენი 2
მრბოლელი A	ლიდერი: გაიარა ყველა ზონა, კარგი კუთხე, გამოტოვა მეორე ქლიფინგი.	მდევარი: იდეალური სიახლოვე, აგრესიული.
მრბოლელი B	მდევარი: საშუალო სიახლოვე, მეტნაკლებად გაიარა ზონა 1, კარგად გაიარა ზონა 2	ლიდერი: გამოტოვა ზონა 1, ზონა 2-ში გადავიდა 1 საბურავით, კარგად აიღო მე-2 ქლიფინგი.

მეორე გარბენის დროს ორივე მძღოლის მიერ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არჩათვლის შემთხვევაში - კონკრეტული გარბენი ჩაითვლება ფრედ, რადგან ვერც ერთმა მრბოლელმა ვერ შესძლო გარბენის დასრულება და უპირატესობის მოპოვება. მოცემულ შემთხვევაში, გამარჯვებულის გამოსავლენად, ჟიური მხედველობაში მიიღებს მხოლოდ პირველი გარბენის შედეგებს.

მრბოლელის სახელი	გარბენი 1	გარბენი 2
მრბოლელი A	ლიდერი: გაიარა ყველა ზონა, კარგი კუთხე, გამოტოვა მეორე ქლიფინგი.	მდევარი: დატრიალდა - არშესრულება
მრბოლელი B	მდევარი: საშუალო სიახლოვე, მეტნაკლებად გაიარა ზონა 1, კარგად გაიარა ზონა 2	ლიდერი: დატრიალდა - არშესრულება

მრბოლელის ერთ-ერთი გარბენის არჩათვლის შემთხვევაში, მეორე მრბოლელს მიენიჭება გამარჯვება, თუ მას - ლიდერის ან მდევარის როლში არ აქვს დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომა. ასეთ შემთხვევაში, მძღოლი A-ს მიერ, მეორე გარბენის დროს, კონტროლის სრული დაკარგვით გამოწვეული არჩათვლა საკმარისია იმისთვის, რომ საბოლოო გამარჯვება მიენიჭოს მძღოლ B-ს.

მრბოლელის სახელი	გარბენი 1	გარბენი 2
მრბოლელი A	ლიდერი: გაიარა ყველა ზონა, კარგი კუთხე, გამოტოვა მეორე ქლიფინგი.	მდევარი: დატრიალდა - არშესრულება
მრბოლელი B	მდევარი: საშუალო სიახლოვე, მეტნაკლებად გაიარა ზონა 1, კარგად გაიარა ზონა 2	ლიდერი: გამოტოვა ზონა 1, ზონა 2-ში გადავიდა 1 საბურავით, კარგად აიღო მე-2 ქლიფინგი.


ლიდერის პოზიციაში ყოფნისას ორივე მრბოლელის მიერ არჩათვლის შემთხვევაში, როდესაც მდევარს აღარ მიეცა დევნის განხორციელების საშუალება, ჟიური ნიშნავს OMT-ს.

მრბოლელის სახელი	გარბენი 1	გარბენი 2
მრბოლელი A	ლიდერი: არჩათვლა	მდევარი: ლიდერის არჩათვლის შემდგომ გაჩერდა
მრბოლელი B	მდევარი: ლიდერის არჩათვლის შემდგომ გაჩერდა	ლიდერი: არჩათვლა


1.14. წყვილში დრიფტის დაწყების პროცედურა

იმისათვის, რომ მძღოლებს მიეცეთ დრიფტის დაწყების ტექნიკის არჩევის შესაძლებლობა, შემუშავდა პროცედურა, რომლის დაცვაც სავალდებულოა როგორც ლიდერის, ასევე მდევარის მიერ. სარბოლო მონაკვეთზე დატანილი იქნება ხაზები, რომლებიც სარბოლო მონაკვეთს გაყოფს ორ ზოლად. ლიდერს აქვს უფლება გამოიყენოს ინერციით მოწყვეტის ტექნიკა, თუმცა აუცილებლად უნდა დარჩეს მისთვის განკუთვნილ ზოლში (არ შეეხოს გამყოფ ხაზს). მდევარისთვის კი არსებობს დრიფტის დაწყების ორი განსხვავებული წესი:

გვერდიგვერდ - მდევარს შეუძლია დაიწყოს დრიფტი ლიდერის გვერდით, მდევარისთვის განკუთვნილ ზოლში. მდევარმა არ უნდა გადაკვეთოს ცენტრალური ხაზი, მანამ სანამ ბოლომდე არ გასცდება მას. აღნიშნული ხაზი მისცემს ლიდერს მისთვის განკუთვნილი ზოლის სრულ სიგანეს დრიფტის დაწყების სასურველი ტექნიკის გამოსაყენებლად, ამავდროულად მდევარს მისცემს საშუალებას ლიდერთან შეინარჩუნოს სიახლოვე და შეარჩიოს პოზიცია.



ერთ ზოლად - მდევარს შეუძლია აირჩიოს დრიფტის დაწყება ლიდერის უკან. ასეთ შემთხვევაში, მდევარს შეუძლია დარჩეს ლიდერის ზოლში, ლიდერის უკან და მაქსიმალურად მიუახლოვდეს მას. მოცემულ შემთხვევაში ლიდერს აქვს საკუთარი ზოლის სიგანის სრულად გამოყენების უფლება დრიფტის ნებისმიერი სტილით დასაწყებად, რადგან მდევარი ვალდებულია, დარჩეს მის უკან, მანამ სანამ ლიდერი არ დაიწყებს დრიფტს.



გვერდიგვერდ, ან ერთ ზოლად სტარტის პროცედურის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს რესტარტი.

1.15. შეჯახებები და კონტაქტი წყვილებში დრიფტის დროს

ავტომობილებს შორის კონტაქტი დრიფტის დროს მიჩნეულია სპორტის შემადგენელ ნაწილად, თუმცა ორთაბრძოლაში მყოფი ავტომობილების შეჯახება მოითხოვს სპეციფიკურ წესებს და ინსტრუქციებს:

ლიდერი ავტომობილი

თუ წყვილში დრიფტის დროს, ლიდერი ავტომობილი დაკარგავს კონტროლს, გადავა ტრაექტორიიდან, ან (აუცილებლობის გარეშე) მნიშვნელოვნად დააგდებს სიჩქარეს, რის შედეგადაც მდევარი მას დაეჯახება, ლიდერი შესაძლოა მიჩნეულ იქნას შეჯახებაში დამნაშავედ. ბრალეულობას დაადგენს თითოეული ჟიურის წევრი.

მდევარი ავტომობილი

თუ მდევარი ავტომობილი შეეჯახება ლიდერს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ასრულებს დავალებას, მდევარი მიჩნეული იქნება დამნაშავედ.

შეჯახების შედეგად გამოწვეული დაზიანება

დაჯახების შემდგომ ჟიურის წევრები გამოავლენენ დამნაშავეს. რიგ შემთხვევებში, დაზიანების შეკეთებისთვის შესაძლოა საჭირო იყოს გარკვეული დრო. მხოლოდ იმ მძღოლს, რომელსაც არ მიუძღვის ბრალი შეჯახებაში, შეუძლია მოითხოვოს 15 წუთამდე დრო ავტომობილის შესაკეთებლად.

შეჯახება პირველი გარბენისას

თუ ავტომობილის შეკეთება, შეუძლებელია და შეჯახებაში იგი არ იქნება მიჩნეული დამნაშავედ - შეჯიბრის ხელმძღვანელი გადაამოწმებს, მართლა შეუძლებელია თუ არა ავტომობილის შეკეთება მეორე გარბენამდე. მრბოლელი მიიღებს აღნიშნულ წრეში გამარჯვებისათვის განკუთვნილ ქულებს, თუმცა ვინაიდან გამარჯვებულმა მძღოლმა ვერ დაასრულა ორთაბრძოლის ორი გარბენი - ის არ გადავა შეჯიბრის შემდეგ ეტაპზე. თუ ამგვარი შემთხვევა მოხდება ბოლო ორთაბრძოლაში, შეჯიბრის ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, ცვლილებები შეიტანოს აღნიშნულ წესში, შეჯიბრის დასრულების მიზნით. მაგალითად, მისცეს დამატებითი დრო დაზიანებული ავტომობილის შესაკეთებლად.

თუ პირველ გარბენში დაიმტვრა ორივე ავტომობილი, ვერ განაგრძობენ რბოლას და არც დამნაშავის ვინაობა დადგინდება (მაგალითად ორივე ავტომობილი დაიმტვრა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად), - გამარჯვებული გამოვლინდება უფრო მაღალი საკვალიფიკაციო პოზიციის შესაბამისად.

შეჯახება მეორე გარბენისას

თუ შეჯახება მოხდა მეორე გარბენის დროს, ჟიური გამოავლენს დამნაშავეს და შემდეგ დაუბრუნდება პირველ გარბენს - საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად.

თუ მეორე გარბენში დაიმტვრა ორივე ავტომობილი, ვერ განაგრძობენ რბოლას და არც დამნაშავის ვინაობა დადგინდება (მაგალითად ორივე ავტომობილი დაიმტვრა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად) - გამარჯვებული გამოვლინდება პირველი გარბენის შეფასების საფუძველზე.

ავტომობილებს შორის კონტაქტის შემდეგ, ტექნიკურ კომისარს (უსაფრთხოების მიზნით) შეუძლია შეამოწმოს ორივე ავტომობილი და გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა მათი შეკეთება მძღოლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში, თუ შეჯახება გამოიწვევს რომელიმე ავტომობილის საბურავის დაშვებას, ან ბორბლის დაზიანებას, ტექნიკურ კომისარს აქვს უფლება მოსთხოვოს ორივე მძღოლს საბურავის, ან ბორბლის შეცვლა, იმისათვის, რომ ერთ-ერთმა მათგანმა არ მოიპოვოს უპირატესობა.

1.16. ავტომობილის სერვისი წყვილში დრიფტის დროს

შეჯიბრში მონაწილე ავტომობილების სერვისი პირველ და მეორე გარბენებს შორის დაუშვებელია. აღნიშნული მოიცავს: საბურავის შეცვლას, საბურავის წნევის რეგულაციას, დაკიდების სისტემის რეგულაციას, საწვავის ჩამატებას.

1.17. წყვილში დრიფტის ვიდეოჩანაწერი

შეჯიბრის ჩვეულებრივი მიმდინარეობა გულისხმობს წყვილში თითოეული გარბენის შემდეგ ვიდეოჩანაწერის ჩვენებას. ჟიურის შეუძლია მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის მრავალჯერ ჩვენება. რბოლის ხელმძღვანელებმა, ღონისძიების გამართული მიმდინარეობისთვის შესაძლოა მოითხოვონ გამეორების დროის რეგლამენტირება.

გარბენების შეფასება ხორციელდება სამსაჯო პუნქტიდან. თუ პუნქტიდან არ ჩანს ქლიფინგი, შესაძლოა დროშების სისტემის, ან ვიდეოთვალთვალის საშუალების გამოყენება. პროტესტის განხილვისას არ დაიშვება გარე წყაროებით მოპოვებული მონაცემები, ან ვიდეო მასალა.

1.18. ღონისძიების ჩაშლა / გადატანა

ორგანიზატორის მხრიდან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, თუ შეუძლებელია ღონისძიების სპორტული ნაწილის გაგრძელება - ორგანიზატორს აქვს უფლება აღნიშნული ეტაპი ჩაშლილად ან გადატანილად გამოაცხადოს. მრბოლელებს ეძლევათ უფლება შეცვალონ დარეგისტრირებული ავტომობილი თუ ღონისძიების თარიღი გაცდება 10 კალენდარულ დღეს.

1.19. პროტესტი და პროტესტის აპელაცია

- ავტომობილის შესაბამისობასთან დაკავშირებული ყველა პროტესტი განიხილება შეჯიბრის დირექტორის მიერ.
- პროტესტი დაიშვება წყვილში გარბენის ყველა ეტაპზე, გარდა ფინალისა.
- კვალიფიკაციის ქულები არ საჩივრდება.
- ჟიურის მიერ ქულების მინიჭების და გადაწყვეტილებების სუბიექტური მხარე არ საჩივრდება.
- პროტესტი უნდა ეხებოდეს ობიექტურ ქმედებებს, რომლებიც გარბენის მიმდინარეობისას გამორჩაჟ ჟიურის წევრებს. მაგალითად, „ა“ მძღოლის საბარგული გაიხსნა გარბენის დროს და მსაჯებმა ამის დანახვა ვერ შეძლეს. ობიექტური ქმედება შეჯიბრის წესებით განისაზღვრება როგორც ქმედება, რომელიც წარმოადგენს უდავო ვიზუალურ მტკიცებულებას და არ წარმოადგენს ჟიურის შეფასების საგანს.
- პროტესტის განხილვის დროს გარე მონაცემები / ვიდეო მასალა არ დაიშვება. დასაშვებია მხოლოდ შეჯიბრის ოფიციალური მონაცემები / ვიდეო მასალა.

პროტესტის შეტანა

- აუცილებელია, რომ პროტესტი იყოს სათანადოდ დასაბუთებული, აზრიანი, ლოგიკური და ეფუძნებოდეს მყარ მტკიცებულებებს. ნებისმიერი საპროტესტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობით, შეჯიბრის საპროტესტო ფორმაზე.
- საპროტესტო ფორმა უნდა შეივსოს სრულად და უნდა აზუსტებდეს, თუ დებულების რომელ ნაწილს ეხება იგი. საპროტესტო ფორმას ხელს უნდა აწერდეს მრბოლელი ან მრბოლელის მენეჯერი.
- საპროტესტო ფორმა წარმოდგენილი უნდა იყოს ჟიურის მაგიდასთან, მოცემული წესებით დადგენილი ვადების დაცვით და თან უნდა ახლდეს, ქვევით მოცემული ცხრილის შესაბამისად, კონკრეტული პროტესტისთვის დადგენილი გადასახადი.
- გამპროტესტებელმა საპროტესტო ფორმა მსაჯების მაგიდასთან უნდა ჩააბაროს პროფესიული და სპორტული ეთიკის დაცვით. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, პროტესტი არ განიხილება.

პროტესტის ვადების ცხრილი

წრე	წარდგენის ბოლო ვადა	შესატანი
ტოპ 32	ბოლო ორთაბრძოლიდან 5 წუთი	200 ლ
ტოპ 16	ტოპ 8-ს დაწყებამდე	200 ლ
ტოპ 8	ტოპ 4-ს დაწყებამდე	100 ლ
ტოპ 4	ფინალის დაწყებამდე	100 ლ

პროტესტების განხილვა

პროტესტს განიხილავს შეჯიბრის სპორტული კომისარი, ან მის მიერ დანიშნული პირი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მაქსიმალურად სწრაფად. კომისარი შეეცდება, მისცეს დაინტერესებულ მხარეს საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის საშუალება.

თუ პროტესტის დაკმაყოფილებაზე მხარეს გამოეცხადება უარი - საპროტესტო შესატანი მას აღარ დაუბრუნდება.

თუ მძღოლს გამოკითხავენ ნებისმიერი ინციდენტის, ან პროტესტის გამო და იგი წარმოადგენს მცდარ ინფორმაციას, მძღოლს ან/და გუნდს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა, მათ შორის ჩემპიონატში ჩათვლითი ქულების ჩამოკლება.

აპელაცია

პროტესტის განხილვის შედეგად მის დაკმაყოფილებაზე უარის შემდეგ, მძღოლს აქვს უფლება წარადგინოს შეჯიბრის შემდგომი აპელაცია იმ შემთხვევაში, თუ დაცულია შემდეგი პირობები.

აპელაცია წარდგენილი უნდა იყოს შეჯიბრის ბოლო ორთაბრძოლის დასრულებიდან 24 საათის ვადაში. აპელაცია უნდა იყოს შედგენილი პროფესიული ეთიკის დაცვით და წერილობით უნდა წარმოადგენდეს ფაქტებს და სხვა ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას, ან არგუმენტებს, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი შეჯიბრის დროს შეტანილი პროტესტის ფარგლებში.

ინციდენტის ირგვლივ ნებისმიერი გარე ან საზოგადო განხილვა გამოიწვევს პროტესტის გაუქმებას. შეზღუდული ვადების და სეზონის ბოლოს დაგეგმილი დაჯილდოვების ცერემონიის გამო, სეზონის ბოლო ეტაპთან დაკავშირებული აპელაციები შესაძლოა არ იყოს განხილული.

2. ჩემპიონატის ქულები

2.1. კვალიფიკაციის და მონაწილეობის ქულები

რბოლა	
პოზიცია	ქულა
1	100
2	80
3	64
4	54
5-8	48
9-16	32
17-32	16

კვალიფიკაცია	
1	7
2	6
3	5
4-8	4
9-16	3
17-32	2

2.2. შეჯიბრის ქულები

ჩემპიონატის იმ დებიუტანტს, რომელიც წლის განმავლობაში დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას, მიენიჭება წლის საუკეთესო ახალწვეულის ტიტული.

2.3. ჩემპიონატის კლასიფიკაცია, ტაიბრეიკინგი

თუ რამდენიმე მრბოლელი მიიღებს ერთი და იგივე რაოდენობის ქულებს, უფრო მაღალი პოზიცია მიენიჭება მონაწილეს, რომელმაც ჩემპიონატის ეტაპებზე დაიკავა უფრო მეტი მაღალი პოზიცია. თუ მაინც დაფიქსირდება თანაბარი შედეგი - განმსაზღვრელი იქნება ბოლო ეტაპზე დაკავებული ადგილი.

